სახელმწიფო
შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება № 283

ქ. ბათუმი, 30 ოქტომბერი, 2018 წელი

ერთი მხრივ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი"/„ბსუ") წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ჯემალ ანანიძის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს. „ელვა.ჯი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ნიკა კბილაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „ი" ქვეპუნქტის საფუძველზე ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი

1.1. ხელშეკრულების (შესყიდვის) ობიექტი - სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურა, CPV_22112000.

1.2. შესყიდვის ობიექტის ოდენობა, ერთეულის ფასი, მოცემულია დანართში (ფასების ცხრილი), რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **1740 (ერთი ათას შვიდას ორმოცი)** ლარს.

2.2. საქონლის ღირებულებაში შედის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადი, რომელთა გადახდაზე პასუხისმგებელია მიმწოდებელი, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.

2.3. ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო.

2.4. ანგარიშსწორება „შემსყიდველის" მიერ განხორციელდება, შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ 10 (ათი) დღის განმავლობაში.

2.5. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

2.6. დაფინანსების წყარო - საკუთარი შემოსავლები.

3. ხელშეკრულების ინსპექტირების (კონტროლის) პირობები

3.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს, წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად მიღება-ჩაბარების მიზნით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებას განახორციელებს <u>ბსუ-ს მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი როლანდ ხალვაში და ბიბლიოთეკის დირექტორის მ/შ ნათია ბურჭულაძე.</u>

3.2. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.

3.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ფინანსური და მატერიალურ–ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოს ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები, ადგილი და პირობები

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების დადებიდან არაუგვიანეს 2018 წლის 05 ნოემბრისა.

4.2. მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ. №35.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტის მიღება - ჩაბარება განხორციელდება მიღება - ჩაბარების აქტით, რომელიც დადასტურდება „შემსყიდველის“ და ,,მიმწოდებელის" მიერ საამისოდ უფლება-მოსილი წარმომადგენლების მიერ;

5.2. შესყიდვის ობიექტის მიღება და საბოლოო შემოწმება ხდება საქონლის მიწოდების ადგილზე;

5.3. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;

5.4. მიღებას არ ექვემდებარება ნახმარი და/ან მექანიკური დაზიანებების მქონე წიგნები.

6. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

6.1. თუ მიმწოდებელი არ ასრულებს საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ თავის ვალდებულებებს ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში შემსყიდველი წერილობითი ფორმით აფრთხილებს მიმწოდებელს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

6.2. შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს შეუწყვიტოს ხელშეკრულების შესრულება წერილობითი ფორმით შეტყობინების შემდეგ მიმწოდებლის მიერ მისი ვალდებულებების ან მისი ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში თუ:

ა) მიმწოდებელმა არ მიაწოდა საქონელი ხელშეკრულებაში მითითებულ ვადებში.

ბ) თუ მიმწოდებელმა არ შეასრულა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა თავისი ვალდებულებები.

6.3. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დაგვიანებით შესრულების შემთხვევა-ში, ყოველ დაგვიანებულ დღისათვის მიმწოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკ-რულების ფასის 0.02 %-ის ოდენობით.

6.4. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მიმ-წოდებელს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 5 (ხუთი) %-ის ოდენობით.

6.5. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ფასის 2 %-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6.6. წინამდებარე ხელშეკრულების 6.3. პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა ან შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულების დამდებ არცერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშეკრულების პირობები.

7.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელ-შეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

7.3. ნებისმიერი ცვლილება რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევისა.

7.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

7.5. მხარეს შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე აშკარად არღვევს წინამდებარე ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნას.

7.6. თუ ხელშეკრულების დადების შემდეგ აღმოჩნდება, რომ არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ მიმწოდებელი არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, შემსყიდველი უფლებამოსილია ვადაზე ადრე მოითხოვოს წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტა.

7.7. წინამდებარე ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს ვადაზე ადრე მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.8. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სხვა შემთხვევებში. ერთ-ერთი მხარის ინიციატივით წინამდებარე ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის თაობაზე მეორე მხარეს უნდა ეცნობოს დაუყოვნებლივ.

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმაროს, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

9.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს.

10. გადასახადები და ბაჟები

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვროს ხელშეკრულების დადების დღიდან 2018 წლის 10 დეკემბრამდე.

შემსყიდველი

მიმწოდებელი

12. სხვა პირობები

12.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე პირს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობანი.

12.2. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებლს, ხოლო ორი ეგზემპლარი - შემსყიდველს). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

13. მხარეთა რეკვიზიტები

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი	შპს „ელვა.ჯი“
ს.ნ. 245 428 158	ს.ნ. 404 882 953
ბ/კ: TRESGE22	ს.ს. „საქართველოს ბანკი“
მიმღები ბანკი - სახელმწიფო ხაზინა	ბ/კ: BAGAGE22
მიმღების დასახელება - ხაზინის ერთიანი ანგარიში	ანგ. № GE17BG0000000887421300
ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელი	შპს „ელვა.ჯი“-ს დირექტორი
ჯემალ ანანიძე	ნიკო კბილაძე

შემსყიდველი

მიმწოდებელი

დანართი №1

ფასების ცხრილი

№	დასახელება	ავტორი	გამომცემლობა	გამოცემის წელი	შესყიდვის რაოდენობა, ცალი	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	სტატისტიკა ბიზნე-სისა და ეკონომიკი-სათვის. 11-ე განახ-ლებული გამოცემა	თსუ	უნივერსალი	2014	2	69,00	138,00
2	საზღვარგარეთის ქვეყნების სტატის-ტიკა	ს. გელაშვილი	მერიდიანი	2015	1	17,00	17,00
3	სტატისტიკური პროგნოზირება ეკონომიკასა და ბიზნესში	ს. გელაშვილი	თსუ	2017	5	17,40	87,00
4	საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების სტატისტიკა	ნ. ასლამაზიშვილი, ს. გელაშვილი	თსუ	2018	2	17,50	35,00
5	მიკროეკონომიკა	ე. ხარაიშვილი, ი. გაგნიძე, მ. ჩავლეიშვილი, ი. ნაცვლიშვილი, მ. ნაცვალაძე	უნივერსალი	2014	20	28,00	560,00
6	ეკონომიკური განვითარება	რ. აბესაძე	თსუ	2015	3	5,00	15,00
7	სტატისტიკა ბიზნესისა და ეკონომიკისათვის	ჯონ დანიელსი, სალივანი	თსუ	2014	2	69,00	138,00
8	საერთაშორისო ბიზნესი (იბეჭდება)			2018	2	69,00	138,00
9	სტატისტიკა ეკონომიკასა და ბიზნესში	მ. ხმალაძე		2013	15	35,00	525,00
10	გლობალიზაციის ეპოქის ფინანსური კრიზისები და საქართველოს ეკონომიკა	ე. მაქვაბიშვილი	ინტელექტი	2018	5	17,40	87,00
ჯამი - ერთი ათას შვიდას ორმოცი ლარი							**1740,00**

შემსყიდველი

მიმწოდებელი

ინფორმაცია
ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ქ. ბათუმი 30 ოქტომბერი, 2018 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის შესაბამისად, ხელის მოწერით ვადასტურებთ, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ საკუთარი შემოსავლებით დაფინანსების ფარგლებში სასწავლო/სამეცნიერო ლიტერატურის შესყიდვის საქმეში არ ვიმყოფებით ინტერესთა კონფლიქტში შპს „ელვა.ჯი“-სთან (ს.კ.404 882 953).

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ჯ. ანანიძე

მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტის უფროსი რ. ხალვაში

ბიბლიოთეკის დირექტორის მ/შ ნ. ბურჭულაძე

შესყიდვების სამსახურის უფროსი გ. აბულაძე

შესყიდვების სამსახურის სპეციალისტი ნ. პატარიძე